

572

1978.2

16005000
0025400000



1978 036060 N6

СНМ

არტიკუმი

კ. გოზიაშვილი

ზოგი ნავით დაჭირის ზღვაზე,
 ზოგი კიდევ მარჯვედ ცურავს,
 რუსი, ფრანგი, ინდოელი
 აქ ცხოვრობენ—ერთად, მშურად.
 განთიადზე იღვიძებენ,
 ისმის მათი ჟრიაბული,
 უკრიანელს თუ ესპანელს
 ერთმანეთი უუვართ გულისთ...
 და კონცერტზე საღამო ხანს
 ტაძს უკრავენ ანსამბლ — „მშიურს,“
 რა სიმღერებს არ უსმენენ,—
 საამურს და ტკბილმშობლიურს.
 უვლა ერთად ძღერის, ცეკვავს—
 სტუმარი და მასწინძელი,
 იქით მავი ზღვა გაშლილა,
 ღურჯზე — ღურჯი,
 ვრცელზე — ვრცელი.
 ირგვლივ მხოლოდ ემაწვილების
 ისმის ძღერა-ჟრიაბული,
 რუსს, ზოლონელს, ღიტველს, ქართველს
 ერთმანეთი უუვართ გულისთ.



ჩხარტუპები

პარლო კოვბრიძე

პირველად რომ გავისროლე თოფი, ისე ნათლად, ისე მკაფიოდ მახსოვს, თითქოს ჩემი პატარა ბიჭობისა კი არა, გუშინდელი ამბავია. ახლაც თვალწინ მიდგას მოძველებული, ფარღალა საბძელი და ბებერი, ფითრიანი ხეჭეჭურჩი. ხეჭეჭურჩის ნუფრზე ასანთის ცარიელი კოლოფი დევს, მე ჩახმამშემარტოული, ცალღულიანი თოფი მსუბუქად მიჭირავს, საბძელის კუთხის გადახრილ ბოძს ვეუუდები და ვუშიზნებ. სუთქვა გამიხშირდა, ხელებიც მიკანკალებს და დიდხანს ვერ ვახერხებ სროლას. მერე რის ვივიგლახით ვიჩერებ სუნთქვას, ხელების კანკალსაც და სასხლეტს ერთბაშად ვეწევი ჩემკენ. თოფის ხმას ბიძაჩემის ალტაცებული შეძახილი მოსდევს:

— ყოჩაღ!..

ომის მეორე წლის გაზაფხული იყო მაშინ. ჩვენი მეზობელი, მირიანი, ხელმომსხვრეული დაბრუნდა ომიდან და რომ ჰკითხეს, რომელი იარაღით იბრძოდით, ცოტა წაიტრაბახასავით: სნაიპერის კარაბინითაო. ბიძაჩემს გაეცინა, არ ვიცი, კაცო, ეგრე უცებ როგორ გასნაიპერდი, აქ ოც მეტრზე კამერს საფანტს ვერ მოახვედრებდიო. ამაზე შეეყენენ, შემოყუვენ და სანაძლეოც გაიჩარხა. მირიანმა თავისი ცალღულიანი თოფი გამოიტანა შინიდან, ათიოდე ვაზნაც გამოაყოლა და მთელი უბანი — დიდ-პატარიანად გავედით საბძელთან... დაიწყო სროლა.

მირიანმა სამჯერ ზედიზედ ესროლა — ბებერი, ფითრიანი ხეჭეჭურჩის ნუფრზე დადებულ ცარიელ ასანთის კოლოფს და სამჯერვე დააცილა.

ბიძაჩემმა ანუგეშა:

— აბა, ხელმომსხვრეული კაცი ამ პაწაწინა კოლოფს როგორ მოარტყამო.

ნაფრონტალმა გაიცინა და თოფი ბიძაჩემს მიაწოდა:

— ვნახოთ, შენ როგორღა ესვრით.

— არა, ჯერ კახას ვასროლინებ და, თუ დააცილა, მერე მე ვცდი.

— კარგი, — დათანხმდა მირიანი, — აბა, ვნახოთ, რას იზამს კახა ბიჭი.

ბიძაჩემმა თოფი მომაჩეჩა, უკან დავიხიე.



კ. შარკოს : სსრ
სახელმწი : უბლი

— ნუ გეშინია, თუ ვერ მოახვედრე, რა მოხდა, ე, აკი სნაიპერმაც დააცილა, — დამამშვიდა ბიძაჩემმა.

მეც მაშინვე გამოვართვი, ძალიან მსუბუქი თოფი იყო, მსუბუქი და პრილა.

პოლა, იმას ვამბობდი, სასხლეტი ერთბაშად გამოვწყე და, როცა წამლის კვამლი გაიფანტა, მერეღა დავინახე: ბიძაჩემი ხეკეპურის ძირში სწრაფად დაიხარა და სწრაფადვე წამოდგა:

— უოლა, კახავ! — გაიშეორა სიცილით, — მთლად არ დაგიფაცხავებია? აი, ჩემო ძმაო, სნაიპერი! — მხარზე მომითათუნა ხელი.

ის დღე იყო და ის დღე, — მთლად დამეკარგა მოსვენება, — ძილშიც ნადირობა მეღანდებოდა, მითუმეტეს, სკოლაში ხომ ყველას ჩემი სროლის ამბავი ეყვარა პირზე.

ვიყოშანენ, ბევრი ვიყოშანენ და ერთ საღამოს მაინც გავბედე მირიანთან მისვლა, თოფი მათხოვე-მეთქი. მერე, ვაზნები გაქვსო? ვაზნებიც მომეცი-მეთქი. არა მაქვსო, წადი, ტყვია-წამალი იშოვნე, ვაზნებს მე თვითონ დავტენი და რამდენიც გინდა, ინადირე, ვინ გიშლისო.

ჩემს მეზობელს — იორამ პაპას ღვინოა უნდა გადაელო, მოზრდილი ქოცოს გარეცხვას აპირებდა, მე გაგირეცხავ-მეთქი, შენ ავაშენა ღმერთ-მაო; კრახანა მოიტანა და ორ საათში ქოცო სარკესავით გავუკრიალე, სამაგიეროდ ათი სროლა ტყვია-წამალი მომცა.

მაშინვე გავიქეცი მირიანთან. ვიდრე ვაზნებს დავტენი, გაიარ-გამოიარეო.

ცოტა გვიან მივედი, თოფიც მომცა და გატენილი ვაზნებიც.

გახარებული გავვარდი სანადიროდ, ათჯერ მაინც ვესროლე ჩხართვებს, მაგრამ ბუმბულიც ვერ გავავადებინე. დაღონებული დავბრუნდი შინ, თოფი და ცარიელი ვაზნები დავუბრუნე მირიანს.

— რა ჰქენი, ვერაფერი ინადირე?

— ერთი ჩხართვიც ვერ მოვკალი.

— ეგეც არაფერი, გაიზრდები და დაგავიწყდება.



ასეა, რის ვაივაგლახით ვშოულობ ტყვია-წამალს, მიმაქვს მირიანთან, ვიდრე ვაზნებს დავტენი, გაიარ-გამოიარეო. მერე მივდივარ სანადიროდ, მაგრამ — რაც უნდა ახლოდან ვესროლო, ვერაფერს ვერ ვახვედრებ.

და, როცა ხელცარიელი ვბრუნდები, მირიანი ისევ იმას მეკითხება:

— რა ჰქენი, ვერაფერი ინადირე?

— ერთი ჩხართვიც ვერ მოვკალი.

— ეგეც არაფერი, გაიზრდები და დაგავიწყდებაო.

გავიზარდე, მაგრამ ვერაფრით ვერ დავივიწყებო. თანაც, მას შემდეგ აღარც თოფს გავკარებია. ერთხელ ჩემი ნადირობის ამბავი გავახსენე მირიანს. კინალამ მოკვდა სიცილით. ვაოცებული მივჩერებოდი, ნეტა რა აციინებს-მეთქი. ის მაციინებს, რომ იმ ვაზნებში საფანტი არ იყოო.

— როგორ?! — უარესად გამიკვირდა.

— როგორ და უბრალოდ: ომიდან ახალი ჩამოსული ვიყავ და ვერ ვიტანდი თოფსა და კვლას, თუნდაც შელოისას. ამას მიუმატე სხვა სიკეთეც: მაშინ შენს გარდა რამდენ მოზარდს ექირა თვალი თოფსა და ნადირობაზე, იმდენ მონადირეს რა ნადირ-ფრინველი გაუძლებდა... ასეა, შვილო, მაშინაც და მერეც ბევრ შენისთანას დავუკარგე ნადირობის ხალისი.

გამეღიმა, მე კი მეგონა უხეირო მსროლელი ვიყავი და ასანთის კოლოფსაც შემთხვევით მოვარტყი. და, ახლა, სწორედ ახლა გამახსენდა მირიანის ის კეთილი ღიმილი, ცარიელი ვაზნების გამორთმევისას რომ გადაეველებოდა ხოლმე სახეზე.



ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

მომზადებული პუკლები

ნაზი კილასონია

კურდღელი მიღის
ტყაპა-ტყუპით,
ყურები მიაქვს წკაპა-წკუპით.
— სად მიდიხარ, კურდღელო?
— ბოსტანს უნდა ვუმღერო!
— მერე სად გაქვს ნოტები?
— ჩემთვის, ძმაო, ნოტები
არის ქარხლის ფოთლები!

ჩახატი მანანა მორჩილაძისა



თუთა

ლელია პრაპე

ჰა, გაეშალოთ სუფრა,
დავარხიოთ თუთა,
შაქარივით ტკბილი;
სუფთა, სუფთა, სუფთა!

კანფასიაში

დილით პლანტაციისკენ
ბილიცებს დავუყვები,
ვიცი, მცე მიმელიან
ჩაის მწვანე ღუყვები.
დიდი. ფარფლებიანი
კილის ქუდი მახურავს,
ქულში ველარც ვუცენივარ
კულქივინა ბათურას.
ჩვენი უბნის ქალები
ჩაის ბუჩქებს მოედვენ.
ამ პაწია კალათით
დედას ვშველი ყოველდღე.



ბრიგოლ ხეჩუაჰვილი

სკოლიდან უხასიათოდ დაბრუნდა დათო. ჩანთა უხალისოდ მიაგდო ტახტზე და ეხოში ჩაივინა. პაპამ უგუფუნებობის მიზეზი ჰკითხა.

— რა ვიცი, ამბობენ სკოლაში „ცისფერი საგუაგოაბი“ შექმნესო, ხვალ დილით მდინარეზე მიდიან. უფროსკლასელები რაღაცას გეიშალავენ, თავიანთთვის ჩურჩულებდნენ.

— მდინარეზე რა უნდათ, ან რას უნდა გიმამალავენ?

— ვილაც მოდის და ბავშვებმა მდინარეს უნდა უყარაულონო.

პაპს გაეცინა.

— მივხვდი, ჩემო დათო, მივხვდი, შორეული ზღვიდან ორაგული ჩვენს მდინარეში მოდის ქვირითის დასაყრელად. ალბათ მათ შესახებდრად ემზადებიან. წელს გვალვიანი ზღუბული იყო და სიციხე მდინარე დააშრა.

— მერე, რა უნდა ქან თევზებმა?

— ალბათ, სწორედ, მათ საშველად მიდიან ებთქვენი ცისფერი საგუაგოაბი წვერები.

— როგორ უშველიან?—თვალეები გაუფართოვდა დათოს.

— ორაგული მდინარის ფსკერზე ქვიშარში ცხვირით პატარა ღრმულს აკეთებს და ქვირითის იმ ღრმულში სდებს. თუკი მდინარე ისე დაპატარავდა, რომ ქვირითიანი ორმო მშრალზე აღმოჩნდა, აი, მაშინ დასკირდება გუაგების დახმარება. გინდა, ხვალ დილის ჩვენს წაივინო და თვითონ ნახავ ყველაფერს.

— მართლა? წაივინო, რა, პაპა, უყველად წაივინო, ზურიკოც წაივინო!—წამოიძახა გახარებული დათო.

მეორე დღეს,—ჯერ ისევ დილაბნელზე სოფლის შარაზე სამნი მიდიოდნენ. სოფელს რომ გასცდნენ, ქალაში მიმავალ ბილიკზე დაუბრუნეს და მდინარისაკენ აიღეს გეზი. მდინარის კალაოტი—ყემა ხეობა—ერთიანად დამშრალიყო. თვითონ მდინარეც პატარა, საცოდავ კიაყელასავით მიიკლავებოდა.

— აი, აქ იცის ქვირითი.—თქვა პაპამ და ნესტიან ქვიშარს თვლი მოაგდო.—ვედროები წყლით ავსესო. თუ ნაპირას გამოიკრული თევზი შეამჩ-

ნით, ვედროში ჩაუშვით. წყალი ჩქარა გამოაკრებს-ლებს... მერე კი მდინარეში გაუშვით. ქვიშარში დაკვირვებით ათვალევრეთ პატარა-პატარა ორმოები.

ცოტახნის შემდეგ დათომ დაიძახა ზვიდან, პაპა და ზურიკო იქით გაიქცნენ. დათო გუბის წინ ჩაჩოქილიყო. გუბის მღვრეც წყალში, თითქოს ქინძის-თავები დასრიალებდნენ.

— ლიფსიტები!—წამოიძახა პაპამ.—ხედავთ, რა ბევრნი არიან. ყოჩაღ დათო! სულზე მოგვისწრია. აბა, ჩქარა, ნიშით პატარა არხი გაეჭრათ და გუბე მდინარეში ჩაუშვით.

— ეს წყალი მდინარეზე ვერც მიაღწევს,—თქვა ზურიკომ.

— სწორია.—დაადასტურა პაპამ,—ამიტომ ვედროებით მოიტანეთ წყალი და ჩაასხით. ასე გუბე სულ ადვილად შეუერთდება მდინარეს.

მართლაც, ჯერ მდინარეზე გაკრეს პატარა არხი. მერე ვედროებით მოხიდეს წყალი, ჩაასხეს გუბეში და მიელი ეს ათასობით ლიფსიტა, არხის მუშევრებით ხელად მდინარეში აღმოჩნდა.

წარმატებით წახალისებული ბიჭები გაუაყციებით ემბდნენ პატარა-პატარა ორმოებს და ბევრსაც პოულობდნენ.

მაღე უფროსკლასელებიც—ცისფერი საგუაგოაბი წვერებიც მოვიდნენ. მიელი ხეობა ბავშვებით ავსო. მოსწავლეები მდინარის ორივე ნაპირს მოედნენ და მშრალზე დარჩენილ თევზს თუ ლიფსიტას მართლა ეშველა.

ძებნა-ძებნაში გუბეში პაპამ მოზრდილი ორაგული იპოვა. საწყალი, ლაყუტებით ძლივსდა ფეფქავდა. ძალზე ლამაზი იყო: მის ოქროსფერად აციაგებულ ფარფლს—წელზე და გვერდებზე შავი ზოლი ჩასდევდა. კულ ნახვარად მოქმული ქოჩნდა.

— რა ლამაზია!—წამოიძახა დათომ.

— ხედავთ? თევზებს კული მოუჭამიათ.

ბავშვები გაუაყციებით ათვალევრებდნენ კულმოქმულ ორაგულს და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ.

— ბავშვებო, ხედავთ, სუნთქვა უჭირს, ჩქარა შეუშვით მდინარეში.



ნახატი ელშარდ აგოშაძისა

ბავშვებმა პაპას დაუჯერეს და ორაგული წყალში შეაცურეს.

ამის შემდეგ ერთი წელი ვაჟიდა. ისევ დაიწყო ორაგულის ქვირითობა და მთელი სკოლაც ფეხზე დადგა. მდინარე ლონიერად მოიძღვრებოდა კალაპოტში და ორაგულს შარშანდელივით აღარ უჭირდა, თუმცა, სიფრთხილეს მიანიც თავი არ სტკივიაო და ცისფერი საგუშაგოს წვერებიც ხალისით მოეფინენ იმ ფართე ხეობას. იქ იყვნენ დითოც და ზურაპ.

შემოდგომის დილის ბზირი ბურუსი ჯერ მზეს ხერიანად არც ვაეფანტა, რომ გუშაგებმა ერთ კაცს მოპკრეს თვალი, რომელიც ბადეს შლიდა. ეს უკვე მეტრისმეტი იყო! ყველამ იცის, რომ ქვირი-

ობის დროს, საერთოდ, აკრძალულია თევზაობა. ბიჭები უხმაუროდ მიუახლოვდნენ იმ კაცს. მებაღური დაკერილი თევზით დამძიმებულ ბადეს ეწეოდა მდინარიდან. ბადე რომ ნაპირზე ამოათრია, ბიჭებმა, ერთბაშად, დაკერილ ხუთიოდ თევზში კულმოჭმულ ორაგულს მოპკრეს თვალი.

— ჩვენი ორაგული, ბიჭებო! — შესძახა ზურიკომ და ცისფერ საგუშაგოს მთელი რაზმი გარს შემოეხვია იმ კაცს.

მაშინ კი შეშინდა ბრაკონიერი, თევზით საესე ბადე მდინარეში ჩაუშვა. მერე ისეთნაირად შეხედა რაზმელებს, თითქოს ებოდიშებოდა და ცარიელი ბადით მდინარის ნაპირს სულმოუთქმელი სირბილით გასცილდა.



ილიო მიჩახუაძე
(1903—1978)

საქართველოს
დღგსს

75 წლის წინათ, აპრილის ერთ-ერთ სოფელ ხორგაში დაიბადა ბავშვი,—გვარად მირცხულავა.

გავიდა დრო და ეს ბავშვი,—სამეგრელოდან გრიგალივით მოვარდა,“ როგორც პოეტი.

ალიო მირცხულავა-მამაშვილი ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მისი მგზნებარე ლექსები სკოლის მერხიდანვე აქვთ შესისხლხორცებული თქვენს მშობლებსა და თქვენი მშობლების მშობლებს.

ვინ არ იცის ალიოს „ლაითურელი კომკავშირელი“, „დამკვრელი ბრიგადები“, „დვას ორი ქალაქი,—ორი ძმადნაფიცი“, „პიშნი სამშობლოს“ და მრავალი სხვა.

იგი თქვენთვისაც წერდა.

ვბეჭდავთ მის ორ ლექსს.

ორი ასული

ილიო მიჩახუაძე

ორი ასული ამ ბაღის
თეთრი ზამბახი და იბ
შესუდნენ, დანიწეეს ამაბუი,
ლაშუნი და ღათაია
და იან ეტევის ზამბახი:
— მშვიდობით, სუქო დაია!

კატა

გვიი სწავლობს სსანასსუნით,
ლექსი დაუქინებია,
გუჟრდით, ფართო ბიჯანსუ,
სეზიბლეების ბინებია.
მსუსე თებება სწადი კატა,
უჰ, რამდენი სძინებია?
კრუტუნებს და უღვამს იგრესს,
ცუგა დაუძინებია.



გოგო ნინო

ცირა ქიტიაშვილი



ანატოე კოკო ნინოს,
 ვერ კინკუებთ ანლა კინოს,
 წითულქუდას, ბურატინოს,
 ვერ დასურაჲს ჰიანინოს,
 ვერ იმღერებს არღვეინოს,
 როდი უნდა გაწყენინოთ,
 მაგრამ, როგორ მოიხსინოს,

მაგრამ, როგორ გაიცინოს,
 ჭრელი ფისო ავადა ჰეგეს,
 ფიქრობს, როგორ მოაწინოს...
 იქნებ თელი მოადინოს,
 მუბღზე ტილო დაფინოს,
 გრძელი კუდი ან უტეინოს,
 ნანა უთხრას, დააძინოს.

ნახტი ზაურ ლეისაძისა



სამი ლეკვი

ნოღარ შამანაძე

ბეთანდილს ჰეგეს სპი ლეკვი:
 ანარ, ბასარ, უურქედანა,
 ბრჭყალები აქეთ, როგორც ნემსი,
 კბილები აქეთ, როგორც დანა.
 თუ შესობდის ღორი განდა
 ბოსტანთან და ბაღანთან,
 უფით გამოვარდებიან,
 შეუტევენ თანდათან.
 ღორმა დინგი თუ ასწია,
 მიმორბიან განდაგანა.
 ეს რა მოგდით, თქვე ღანრებო,
 ანარ, ბასარ, უურქედანა,
 მოძაგალი ძაღლები სართ,
 გეძინოდეთ უნდა კანა?!



მელა კახიძე

ხმატი ზრიგოლ ბაზრინლაშვილისა

განდა თუ არა დრუნჩა ქვეყანაზე, მაშინვე გაითქვა სახელი; ჯიქურ მიიჭრა თავლის გეჯასთან და დრუნჩი ჩაყო. მართალია, ფუტკრები დაესვენენ და მაგრადაც დაკბინეს, მაგრამ დრუნჩას ერთი ვიცი არ წამოსცდენია. ეს კიდევ არაფერი, ჯერ ერთი წლის საღ იყო, მარტომდამო ტო რომ გადაეყარა მგელს და ისე დატორა, იმის ყმულიც ცასა სწვდებოდა. ღირსიც იყო: აქოდა, ახალგაზრდააო, დაბრიყვება მოუნდომა დრუნჩას. მერე თავისზე ბევრად უფროსი დათვიც დაბუნა და ტყეში ფალავნის სახელიც დაიგდო. ის რომ მუხიანში ბილიკზე ჩამოვივლიდა, ყველანი ქუდს უზდიდნენ. მოკლედ, აღარავისი ეშინოდა, კბილის ექიმის გარდა.

ერთ დილას კბილის ტკივილმა გამოაღვიძა, სიმწრით დაიბურდლუნა, თათი ღონივრად მიირტყა ყბაზე, კბილი კბილს დააჭირა, მინც არ გაუყურდა ტკივილი. მერე მიწაზე გაგორდა, ხეზე აბობდა, ფერდობზე დაგორდა, ტკივილი კი უფრო და უფრო მატულობდა. ბოლოს—დედამ ევება თათები მოხვია, გულში ჩაიხუტა და ადუღლუნდა:

— წამო, კბილის ექიმს მიგვგრი, ჭიანჭველებს ამოგაძრობს და ორივე დავმშვიდდებითო.

— არ წამოვალ ექიმთან, არა!—აღრიალდა დრუნჩა.

— ბაბაშენიც კბილის ტკივილმა გადაიყოლა და შენი ცხონებული ბეზიაც.

— მაინც არ წამოვალ, მეშინია!—შიშით გაასავსავა მორივით ჩამრგვალებული თათები ტკივილით შეწუხებულმა დრუნჩამ.

მაშინ გულმოსულმა დედა დათვმა სულელ და თავისნათქვამა შვილს ხმაც აღარ გასცა.

დრუნჩა კენესოდა, მიწაზე გორაობდა და თვალთავან ცერის სიმსხო ცრემლი სცვიოდა.

— ესეც ჩვენი ფალავანია!—დასცინოდა ხის ტოტზე წამოსკუბებული ჩხიკვი. მოლიმარი—მშიშარა კურდღელიც ისე ახლოს კოტრიალობდა, დრუნჩას პირი რომ დაელო, მაშინვე კბილებშუა მოივლებდა, მაგრამ ამის თავი სადა ჰქონდა ახლა. ბოლოს თავი წამოსწია, თვალი მრისხანედ მიმოატარა და დაიბურდლუნა:

— ვიდრე ცოცხალი ვარ, მასხარად არავის აეგვლებინები!—მუხლში გაიმართა და პოლიკლინიკისაკენ წაძუნძულდა.

ექიმი კარებში გამოეგება დრუნჩას, მოეფერა, დაუყვავა. მასაც გული მოეცა, არც ისეთი საშიში აღმოჩნდა კბილის ექიმი. მკურნალმა სკამზე დასვა პაციენტი. გაქათათებული წინსაფარი კისერზე დაუმავრა, პირი დააღებინა და კბილებში გამაყურებელი წამალი ჩაუღო. დრუნჩამ ერთბაშად იგრძნო შვება და ნეტარებისაგან თვალები დახუჭა. მერე რა იყო, რა მოხდა, ვერაფერი ვერ გაიგო, თვალი რომ გაახილა, ექიმს მისი დაჭიანჭებული კბილი ეჭირა და ღიმილით ეკითხებოდა:

— რაო, ხომ აღარ გტკივა? დაიმახსოვრე: არ



შეიძლება კანფეტების უზომოდ ჭამა, არც თავ-
ლი ვარგა მეტისმეტი. რასაც შენ თავს მიი-
რთვე, ნახევარი მე რომ მომცა, ისეთ წამლებს
დავაშალებდი, ამ ტყეში ყველანაირ ავადმყოფს
ვეწამლებდი.

დრუნჩა პოლიკლინიკიდან გახარებული გამო-
ძუნძულდა. გზად საჭიდაო მოედნისაკენ გაუხ-
ვია. ზურნის ხმა მოესმა თუ არა, გულმა ბგა-
ბუვი დაუწყო. მაშინვე წრეში შევარდა, დოინ-
ჯი შემოიყარა და საჭიდაოდ მურა დათვი გა-
მოიწვია. მურა დათვს ბარემ ძალიანაც არ ესა-
მოგნა, მაგრამ ამდენ სასეიროდ მოსულთა თვალ-
ში თავს ხომ არ შეირცხვენდა, შეშინებული,
მინც ყინჩად შებაჯბაჯდა წრეში. გამარჯვებუ-
ლისთვის იქვე თავლით სავსე ქილა დაეღათ.
ორივე მოაპეტრეს იმ ქილისკენ გაურბოდა თვა-
ლი.

მუსიკოსებმა საჭიდაო დასცხეს. შაშვეებმა და
მოლალურებმა ფრთების ტყაპუნი ატყხეს. კურდ-

ღელმა კიდევ უფრო დაიგრძელა ყურები.
დრუნჩამ ფრინველებისკენ აიხედა. სწორედ ამ
დროს მიეჭრა მურა დათვი, სარმა მარტო
მაგრამ ძვრაც ვერ უყო. მაშინ კი მარტო
რაზდა დრუნჩა; ფეხის გამოკერა ასე არ უნდა
და, ელვის უსწრაფესი გარესარმითა და მოვ-
ვერდით მურა დათვი მიწას გააქრა.

— ვაშა, ვაშა! — აგუგუნდა ტყე.

— ჭიკ, ჭიკ, ჭიკ, ჭიკ! — აქლურტულდნენ ჩი-
ტები, შაშვეებმა დაიჭახჭახეს, მოლალურებმა კი
დევე: — ასე მოუხდება მავ გამურულ მორგესაო.

ფალავანს ტაშითა და ვაშას ძახილით შემოე-
ხვივნენ ტყის ბინადარნი და ჯილდო — თავლით
სავსე ქილა საზეიმოდ გადასცეს. ეპ, როგორ
მოუნდა იმწამსვე ქილაში თათი ჩაეყო და გემო
გაეისინჯა, მაგრამ უცებ რალაც გაახსენდა, სძლია
ცდუნებას; ქილას დამრგვალებული თათები შე-
მოპხვია და კბილის ექიმის სახლისკენ წაძუნ-
ძულდა.



სვამრალ მიღის ღრუჭუნა

ავთანდილ გურგენიძე



სტუმრად მიდის ღრუჭუნა,
 არის გაწამაწა,
 დედიკო და მამიკო
 ერთმანეთს არ აცლიან,—
 ჯაგარს ასაღდაბანილს
 გულმოდგინედ ვარცხნიან,
 დააქენეს სარკის წინ,
 გაასარეს ჰაწია.
 ღრუჭუნს ასაღდაბალი
 ტანსაცმელი აცვია.
 გამოვიდა ესოში

ქვეყნის დასანასადა...
 გაიოცა მურიამ:
 — ეს რა სეღმა დასატა!—
 ასისინდენ ბატები,
 აკაკანდენ ქათმები:
 — არ ეოფილა ღრუჭუნა
 თურმე სსვასე ნაკლები!
 ფისოს სულ არ აკვირვებს
 ღრუჭუნს ტანისმაძისი:
 — სულ ერთია, სვალაძე
 ლაფ-ტალასში ამოსვრის!



ციცო და წიწილა

ავთანდილ მებრელიშვილი

ციცქა ციცომ ხორბალი
 სახლში წააცინცილა;
 დაებნა და აგროვებს,
 ვმეველება წიწილაც.

შევაზინათ

დავახურეთ კომბოსტოს
 დახეული ქული;
 აღარ მოდის კურდღელი—
 მშიშარა და ქურდი!





ქოქოსის კაკალი

ვერონიკა მარკი

ნახატი ვიორგი როინიშვილისა

შორს, ჩვენგან ძალიან შორს, თბილ ქვეყანაში, სადაც უამრავი პაღმა იზრდება, მდინარის პირას პატარა მაიმუნი ცხოვრობდა.

ერთხელ, მაიმუნმა პაღმის ხეზე სამი დიდი ქოქოსის კაკალი შენიშნა. ჯერ სიხარულით სულ ყირაზე გადადიოდა, მერე გაიქცა და ამხანაგები მოიყვანა: მოდით, ნახეთ, როგორი პირის ჩასატკბარუნებელი ვიპოვე.

მასპინძელმა იფიქრა, მოდი, ქოქოსის ნაყოფს ამხანაგებსაც გავასინჯებო და მოწყვიტა

ერთი კაკალი, მაგრამ რად გინდა, ვერც ჯოხით და ვერც ქვით ვერ გატეხა. სტუმრებიც მიეხმარნენ, მაინც ვერაფერი მოუხერხეს. უფრო მეტიც,—ყაყანსა და აურზაურში ხელიდან გაუსხლტათ და მდინარეში ჩავარდა.

— ჩვენი კაკალი!.. რაღა ვქნათ ახლა?— შეწუხდნენ სტუმრები.

— არაფერია!— იბტობარი არ გაიტეხა მასპინძელმა და მეორე კაკალი მოწყვიტა, მაგრამ ის კიდევ უფრო კერკერი გამოდგა. რა უნდა



ექნათ? ადგნენ და მახრჩობელა გველთან მივიდნენ.
— შენ ხომ ძალიან ღონიერი ხარ, გაგვიტეხე ქოქოსის კაკალი!—სთხოვეს მოწიწებით.

— კეთილი, გაგიტეხავთ! ოღონდ ახლა არა, ძალიან მეძინება, მერე მოვით,—ამის თქმა იყო ერთი დამთქანრა და მახრჩობელას მაშინვე ჩაეძინა. მაიმუნები ახლა ღამთან მივიდნენ.

— ძალიან გთხოვთ, შენ მაინც გაგვიტეხე ქოქოსის კაკალი!

— რაო, კაკალიო? ფუი!—აგგებულად უბასუსო ღამმა,—საშინლად მძულს ყველაწიერი მცენარეული საკვები! გადააგდეთ იქით, არ მოვიწამლო!

მაიმუნები საგონებელში ჩაგარდნენ; აღარ იცოდნენ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. უცებ ნიანგი გაახსენდათ და იმასთან გაიქცნენ.

— ნიანგო, შენ ხომ ყველაზე დიდი და მაგარი

კბილები გაქვს, უარს ნუ გვეტყვი, გაგვიტეხე ქოქოსის კაკალი!

კარგიო,—მიუგო ნიანგმა, დაალოტინდა ქოქოსის კაკალი ერთ წამში გატეხა და ნაკუჭიანად გადაყვანა, ეტყობა—ეგემრიელა.

პატარა მაიმუნის გული მოუვიდა, მაგრამ რაღას იზამდა? ისევ პადმისკენ გაიქცა, თვადის დახამამებებაზე ხეზე აცოცდა, მოწყვიტა მესამე კაკალი და გაბრაზებულმა მიწაზე დაანარცხა, საკვირველი რამ მოხდა: ქოქოსის კაკალი გატყდა. გაოცებულმა მაიმუნებმა ისე გაიხარეს, ენა ვერ იტყვის. დიდი სიამოვნებით მიირთვეს გემრიელი ნაყოფი და ხტუნვა-ხტუნვით გასწიეს შინისაკენ. ყველაზე მეტად მაინც ის უხარდათ, რომ ქოქოსის კაკლის გატეხვა ისწავდეს.

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძემ.



ლოკომუსელა დათუნია

მზია ჩხატიანი

სახატი სოფიო კინწურაშვილისა



მშია,
მშია,
მშია,
მშია!..
— ეს ვინ ტირის?
— დათუნია!
დაუბრაწა დედა დათვმა
კატლეტები ათი ტაფა,
დათუნიათ ყლაპა, ყლაპა,
ყველა უცბად გადაყლაპა,
მერე იმას დააყოლა
ათი ქვაბი ცხელი ფაფა!
შეხებო, როგორ გაიბერა—

პა-პა, პა-პა!
პა-პა, პა-პა!
— ახლა მინდა კანფეტები!
— რალად გინდა კანფეტები?
შვილო, კანში არ ეტყვი!
ბელი ტირის:—კანფეტები,
— კანფეტები, კანფეტები!
მოუტანეს სახესე ყუთი,
იქნებოდა ერთი ფუთი.
ქამს და ფოთნის,
ისევ ფოთნის,
ხო-ხო, როგორ გაიბერა,—
ბელია თუ ბემემოთი!



სიმლაკა

მერი ზოლქვაძე

ლამაზი დღე დგას. ზაფხულის სურნელით და სინათლით სავსე. ცოტა ნიავე კი უბერავს, მაგრამ ეს არაფერია: ნიავე რომ არ იყოს, ამ ყველაფერის სურნელუბას, ამ ცისა და ბარის საოცარ ამბებს აქეთ-იქით ვინ წაიღწა-მოიღებდა?! ვინ გაავრილებდა მზის მცხუნვარებისაგან გათანგულ არემარეს?..

ლამესავით შავი, მწვეანთვალემა მზეთუნახავი კატა ნანუნა — კარგმა დღემ სიმღერის ხასიათზე დააყენა, თვალები ნახად მოქუტა და დაიქნა: — შია, შია-შია!

— მვე! — აწყვა თიკანი. მერე გოჭიკ აქყვიტინდა, იქით ინდაურმა ჩაირუტრუკა, ბაყაყმა ხომ ყყინით გააყრუა იქაურობა.

ნანუნა უკმაყოფილოდ აიძაგრა:

— რა კიაფანდურებოვით ამყვევით! მე მიცდილით?

— შენ რას გიშლით, ჩვენთვის ემღერით! — ყველას მაგირვად უპასუხა ინდაურმა და ისევ ჩაირუტრუკა.

— ფუჰ! — ზიზლით ჩაიფხუქუნა კატამ, — მომღერლები, — წვრილი, ზვეული კიბით სახლის სახურავზე ავარდა და წითელ კრამიტზე გაიშოტა.

— რაო, ვინ ვაწყენინა?

მზის მოალერსე სითბო შავ, მზზინავ ბეწვზე გადაველო.

— სხვები განუმდნენ, მარტო მე უნდა ვიმღეროო, შე თავკერძა! — ქირქილით გადაუარა ნიავემაც ზურგზე, რომელიც ფეხდაფეხ ამოჰყვა ნანუნას სახურავზე.

მზემ მფეფური უღარდლოობით გაიცინა:

— იმღერონ თუ ემღერებათ, შენ რა ვაკლდება ნანუნა?

— ისინიც თუ მღერიან! — ცხვირი აიბზუა კატამ და თვალები დახუჭა.

— არც შენა დეკავანარ ბუღბუღი, მაგრამ სიმღერას არავინ გიშლის! — ჩაიზუზუნა ნიავემა, — ისე, კი... მე ვიცი, სადაც მოვხვდებო ყოფნა! — ბევრი არც უფიქრია, წამოჰკრა კატას ფრთა, წამოაგდო, გასტყორცნა; სულ

ტრიალ-ტრიალით წაიღო და... პირდაპირ მთვარეზე არ დაასკუბა!

— აჰა, აქ არავინ შეგიშლის ხელს და ვეჭქი და იმღერე, რამდენიც გინდა!

ამ უეტარი ქროლვა-ტრიალისაგან დაოსებული, გაოგნებული კატა კარგა ხანს იჯდა ერთ ადგილას გატრუნული, ლამაზ, მწვეანთვალეზს უაზროდ აბლატუნებდა. როცა გონს მოეგო, მიიხედ-მოიხედა: მთვარეზე არც ხეგბია, არც ბალახი, არც ყვავილი, სულიერის ხსენებაც არსადაა. სიწუმეა ისეთი, ისეთი... მარტო უშნოდ აჩონჩხილი კლდეები, უზარმაზარი ორმოები და ღრმულები მოჩანს.

— მოგწონს აქაურობა? — ჰკითხა ნიავემა.

— ძალიან!

რა გოროზი და კულაბიკაა ეს კატა, გინდაც არ მოსწონდეს, შეიმჩნევს რამეს? მაგრამ ნიავეც კარგი ეშმაკია, გგონიათ, გამოვებარება რამე?

— რაკი მოგწონს, კეთილი და პატიოსანი, კარგად მყყოლე! — თავი დაუკრა ნანუნას გამოთხოვების ნიშნად.

— გზა მშვიდობისა! — ჩაქნავლა ნანუნამაც. ზედაც არ შეხედა სადღაც გასაქცევად გამზადებულ ნიავეს და ყველი სამღერლოდ მოიღერა, მაგრამ ვერ იმღერა, ეტყობა, კარგად ვერ შეინახა სიმღერა გულში და დაეკარგა.

— ნეტავ, სად დაეკარგე? სად ამომივარდებოდა გულიდან? — დაბნეულმა აქეთ-იქით მიიხედა, უეტრად წინ ტირილის კაცი აეტრუხა. ნანუნამ თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა საცოდავად მოზუზული, ტირილისაგან სახედამანჭული და თვალგდასიებული საძაგელი არსება.

— სიმღერას ვეღარ იპოვი, მოდი, ერთად ვიტერიოთ! — იმ კაცმა ნანუნაც მიიპატიჟა სატირილად.

— რატომ ვერ ვიპოვი? მე სულაც არ მეტირება. ან შენ თვითონ რა ვატირებს? — გაუწყრა ნანუნა.

ტირილის კაცმა ტირილ-ტირილით უპასუხა: — რა ვიცი, ყველაფერს ტირილით გამოვხატავ; დარდაც და სიხარულსაც.

გაკვირვებულმა კატამ პირი დაადო, ყველაფერზე ტირილი გამიგონიაო? და ჰკითხა:



ნახტი სოფიო კინწურაშვილისა

- აი, ამ წუთას რა გატირებს?
- მიხარია, შენც რომ უნდა იტირო!
- ფიჰ!— წყენით შეხტა ნანუნა, — ვინ ვიტობა, რომ უნდა ვიტობო?

— აბა, სასიმღერო რა გაქვს? ამოდენა მთვარეზე სულიერი შენს მგეტი არაუინაა, არც არაუინ მღერის, არც არაუინ იცინის, არც ლაპარაკობს, ტირილის მგეტი სხვა რა დაგრჩენია?!

კატა ნანუნამ უსმინა, უსმინა და უცბად მიხვდა, სადაც დაკარგა სიმღერა. გული ბოღმით აფესო. ერთბაშად, თავისდაუნებურად, თვალთავან ცრემლი წასკდა. ამის შემხედვარე — ტირილის კაცი სიხარულით მთლად გადაირია:

- აკი არ ვიტობო?!

— არაფერიც! — სველი თვალები თათებით მოიწმინდა კატამ, მაგრამ ცრემლი ისევ და ისევ მოსწევთავდა. «რა მეშველება, რომ ვეღარ გავჩუმდე, ჩემი სიცოცხლე სულ ტირილში უნდა გავატარო? არა, არა!» — გაიფიქრა ნანუნამ და თათები შიშით გაასავსავა:

— შინ მინდა!.. ჩემს ეზოში, თიქნებთან. გოჭებთან!

თავისივე ყვირილმა გამოაღვიძა. უაზრო, დაჭყეტილი თვალებით ეზოს დააშტერდა, როგორც იქნა, გამოერკვა. თურმე ძილს წაუღია მთვარეზე. ცხადში კი, ისევ სახლის სახურავზე, წითელ კრამიტებზე წევს. მზე ცალი თვალით უჭვრიტინებს და ჩუმჩუმად იცინის.

- რაო, ცული სიზმარი ნახე?

ეზოში ერთი ვნისი და ქრიაამულია... ნანუნამ შევებით ამოსუნთქა, კარგ ხასიათზე დადგა. კარგმა ხასიათმა ისევ სიმღერა მოგვარა, სიმღერაც მაშინვე ჩასახლდა გულში. ნანუნამ ყელი მოიღერა და გააბა:

- მიაა, მიაა! ერთად სიმღერა კარგია!

ეზოში ყვავილებთან დავაში გართულმა ნიავამ ყურები ცქციტა: «ეს ნანუნაა? წელან თავს იკლავდა, მარტო მინდა სიმღერაო?» — სახლის სახურავზე გვივიით ავარდა, მართლა ნანუნა იყო...

— ნეტავ, რა დავსიზმრა? — ფიქრით მთელი დღე თავს იმტვრევდა ნიავი.

უნდა იცნობდეთ სოფიოს

შალვა შორჩხიძე

თქვენ ჯერ არ იცნობთ სოფიოს, ახლა ამოსკრა კივები.

უყვარს ცუგო და დათუნა, ფისო და თეთრი ჩიტები.

წმინდაა, როგორც კეთილი მორჩი დასხმული ვენახის, ყველაზე ადრე იღვიძებს, ბაბუს და ბებოს ფახის...

ნაზია, როგორც ცისფერი ღერო მალაღობი ბალახის,

უხდება უცხო ჩითები, კაბები ახალ-ახალი.

ყოველდღე თმადავარცხნილი, ყოველდღე სუფთად ჩაცმული, იფურჩქნება და ივსება სითბო, სინათლე მამულის.

ჯვარი სწერია მის სახელს, ამ ქვეყნად იმის გაჩენას,

მისი ვარსკვლავის ამოსვლას და მისი მშობლის მარჯვენას.

თუმცა ჯერ პატარა გოგოა, მისი მზე ათბობს მსოფლიოს.

სიცოცხლის ლურჯი თვალია, — უნდა იცნობდეთ სოფიოს!



ნახატი ღარეჯან შილ აშვილისა

ვალერიან მოსაზვილი

თებრონე ბებიას ბაღში მსხალი უკვე ყვითლად ლუოდა. იმ მსხალზე ყველას ეჭირა თვალი და თებრონე ბებიაც დხიზლად დარაჯობდა.

გიომ შორიდან უუურა ქარვისფერ მსხალს, უუურა და, ბოლოს გადაწვევითა: ბიჭიც არ ვყოფილვარ, გემო თუ არ გავეუსინჯოო. მერე დაუდარაჯდა, თებრონე ბებია როდის ვაგა სადმეო და ეს დროც ჩქარა დაუდგა. ბებიაშ კოკა შეიღვა მხარზე და წულისაკენ გასწია. გიომ მაშინვე ბაღში შეიპარა, კატასავით აცოცდა ხეზე. უცებ მიკრიფ-მოკრიფა მწიფე მსხალი. უბეც გაივსო და ჯიბეებიც. ძირს რომ ეშვებოდა, სიჩქარეში ფეხი დაუცდა და ყირამალა გადმოეშვა. ბედზე—მსხალს ერთი ტოტი ჰქონდა გამომშვერილი, სწორედ ის ტოტი პერანგზე გამოედო და თავდაყირა ჩამოეკიდა. მეტისმეტად შეშინდა გიომ ბიჭი. ჯერ ყვირილი დააპირა. შემდეგ გადაიფიქრა. მერე ხელ-ფეხის ქნევა დაიწყო, მაგრამ ამოდ; არც ის ტოტი ჩამოტყდა, არც პერანგი გაიხა. ოღონდ ასე ტოტზე ჩამოკიდებული არავის ენახა და ძირს ჩამოვარდნას რას დაეძებდა.

ამასობაში თებრონე ბებიაც მოვიდა, კოკა გრილ ადგილას დადგა და ეზოში რომ გამოვიდა, მხოლოდ ამის მერე დაინახა პირქვე დაკიდებული გიომ. შეშინებულმა, ამას რას ვხედავო, კივილი მორთო. მის კივილზე მეზობლები მოცვივდნენ და ქურდაცაცა ფრთხილად ჩამოხსნეს ტოტიდან.

— წყალი მიუტანეთ!—დაიძახა ვილაცამ.

— წყალი კი არა, ცემა უნდა მაგ ქურდს.

— ისედაც შეშინებულია, მაგას ცემალა უნდა, თქვენი კირიმე... რა ქურდი, რის ქურდი, მსხალზე შე ავგზავნე.—ვიშვიშებდა თებრონე ბებია.

გიოს მიწა რომ ვახეთქოდა, ის ერჩია. ყველაფერს ელოდა, მაგრამ ამას კი აღარ; თვითონ თებრონე ბებიაშ დაინდო და მეზობლებში არ შეარცხვინა, ტყუილი თქვა: მსხალზე შე ავგზავნეო. ახლა კი მართლა მიხვდა გიომ-ბიჭი თავის შეცდომას. ხევა რალა დარჩენოდა. დარცხვენილმა—ხალხის წრე გაარღვია და უხმოდ გაეცალა იქაურობას.



Tempo di Valse.

Canto

მამამ ბაღში ხე მონახა, — შრიალ-შრიალ-შრიალა.
 ტოტზე კობტა საქანელა ჩამოაკონწილა.
 ციყვებივით შემოსკუბდნენ ზედ თაზო და ციალა,

შრი- ალ შრი- ა- ლა ტოტ-ზე კო- ხტა
 სა- ქა- ნე- ლა ჩა- მო- ა- კონ- წი- ა-
 ლა ცი- ყვე- ბი- ვით შე- მო- სკუბ-დნენ
 ზედ თა- ზო და ცი- ა- ლა თან სი
 მღე- რა შე- მო- სდა- ხეს წკრი- ა- წკრი-ალ წკრი-

მისამღერი: B₇ E₇
 C₇ A₇ D₇ G₇ C₇
 F D₇ G₇ C₇ E₇ G₇
 F₇ B 1. B 2. B




ლექსი გივი შიშინაძისა

მუსიკა ჯემალ აღამაშვილისა

აონიავლ-ქრიავლ

მამამ ბაღში ხე მონახა, —
 შრიალ-შრიალ-შრიალა.
 ტოტზე კობტა საქანელა
 ჩამოაკონწილა.
 ციყვებივით შემოსკუბდნენ
 ზედ თაზო და ციალა,

თან სიმღერა შემოსძახეს
 წკრიალ-წკრიალ-წკრიალა.
 აქანავდა საქანელა;
 კონწიალა — ქრიალა,
 კენწეროზე ჩიტბი იჯდა, —
 შეკრთა, შევიფრთხილა.



ნახატები მოგვარწოლა საქართველოს მავშვთა მხატვრული შემოქმედების მუზეუმმა.

შოგარო რედაქტორი შუხრან მბატაძანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მკ. მდიანი), ილზარ ახრიაბაძე, აშაური გომიანი, ლილა შრამი, მამალა ნიშანიანი, ჯიშარი შუგრი, გიორგი გომიანი (სამ. რედაქტორი), იორანე მხარბალიძე, რეზარ ლარიანი, ვივი მხარბალიძე.

საქ. ალექ. ტყეშელაშვილის სახელობის ჰომონიმოზი ორგანიზაციის რეზუმეოლოგიის სამსახური. 31-ე წელი. ცენტრალური მხარე

საქართველოს მხარე უნდა შეიცვალოს, 7 წელი.

მისამართი: რედაქციის, გამომცემლის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15, 3/მკ. მდიანის — 93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის — 93-98-18; ცენტრალური — 93-98-16. გიდოცა ასაწობად 17/11-78 წ., ზელოწეროლა დასაბეჭდავად 18/V-78 წ., კალაღის ზომა 60X90 სმ. ფიზ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეფ. № 855. „დიალა“ № 6. ნა გრუიანოკო მიაზე. ფასი 20 კაპ.

საქ. კ. ცკის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии